

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაზე, მოქალაქეების ოთარი ტორადისა და ანა ზვიადაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაში, მცხოვრები მოქალაქეების ოთარი ტორადისა და ანა ზვიადაძის განცხადება /2012 წლის 21.12 Nზ/ტ-10718/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლი N33 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მათ სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ოთარი ტორადესა და ანა ზვიადაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაზე /საერთო ფართობი 63,64 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,85 კვ.მ, დამხმარე ფართობი 18,79 კვ.მ/ მოქალაქეების ოთარი ტორადისა და ანა ზვიადაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე